F 171
1957

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

# კრებული

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

**5**

მაისი

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა
19 თბილისი 57

# შ ი ნ ა ა რ ს ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ბრძანება № 303—სპეციალური სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 3
2. ბრძანება № 331—საქართველოს სსრ განათლების ორგანოებში შრომითი დავის განხილვის ახალი დებულების გასატარებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . 7
3. ბრძანება № 420—სკოლებთან ბუფეტების და სასადილოების გახსნისა და მათი მუშაობის მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . . . . 9
4. ბრძანება № 463—სკოლებში კინომომსახურების გაუმჯობესების შესახებ 12
5. ბრძანება № 464—საქართველოს სსრ რესპუბლიკის სკოლამდელი აღზრდის მუშაკთა მეთოდური თათბირის მიერ მიღებული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ . . . . . . . . . . . . . . 15
6. ბრძანება № 477—XI რესპუბლიკური სამეცნიერო—პედაგოგიური კონფერენციის შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 19
7. ბრძანება № 479—მცხეთის რაიონის ქსოვრისის საშუალო სკოლის დირექტორ ა. რ. გოგიას მოქმედების შესახებ . . . . . . . . . . . 25
8. ბრძანება № 484—საქართველოს სსრ საწარმოო სწავლების სკოლების მუშაობის პირველი შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . 26
9. ბრძანება № 517—ბორჯომის რაიონის საბავშვო ბაღების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 31
50. ბრძანება № 533—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ • 34
11. სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლების შტატებისა და მუშაკთა ხელფასის განაკვეთების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 40
12. О штатах и окладах работников средних школ селской молодежи 42

---

რედაქტორი ზ. ბურჭულაძე
ტექრედაქტორი პ. გუნიავა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VI-57 წ., ანაწყობის ზომა 6X9,5 ქაღალდის ზომა 60X84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 2,75 სააღრიცხვო—1,85, საავტორო—1,77.

შეკვეთა № 809 ტირაჟი 5000

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F 2037

# ბრძანება № 303

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 29 მარტი

### სპეციალური სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ სპეციალური სკოლა-ინტერნატების ერთმა ნაწილმა სწორად გაიგო მათ წინაშე დასმული ამოცანები და გარკვეული წარმატებები მოიპოვა მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში.

ქ. თბილისის უსინათლოთა სკოლა-ინტერნატი (დირექტორი დ. კვაჭანტირაძე, სასწავლო ნაწილის გამგე მ. მანტკავა) რამდენიმე წელია ინარჩუნებს 100 %-იან მოსწრებას. მოსწავლეები ავლენენ მყარ და საფუძვლიან ცოდნას. მეთოდკომისიებისა და საგნობრივი წრეების მუშაობა იმდაგვარად არის დაყენებული, რომ ისინი ხელს უწყობენ სწავლების გაუმჯობესებას. დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა პირადი ჰიგიენის დაცვას და მათი მოვლა-პატრონობის საქმეს.

სპეციალური სკოლა-ინტერნატების ბევრი მასწავლებელი კეთილსინდისიერად და მონდომებით მუშაობს მოსწავლეთა წიგნიერებისა და ცოდნის დონის ამაღლებისათვის. კარგად მუშაობენ მასწავლებლები ქართულ ენასა და ლიტერატურაში: მ. მანტკავა, ი. ჭიაურელი, ა. ხუციშვილი, გ. რევაზიშვილი. ე. თვალიაშვილი, ლ. ღოლიძე (ქ. თბილისის უსინათლოთა სკოლა-ინტერნატი). მოსწავლეები ავლენენ პროგრამით გათვალისწინებული გრამატიკის ცოდნას, კარგად ერკვევიან ლიტერატურული მასალების შინაარსში, სწორად აქვთ შეთვისებული მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითადი მოტივები კარგად მუშაობენ რუსული ენის მას-

წავლებლები: ს. თარჯიმანოვა, თ. იზაშვილი, ა. ფეიქრიშვილი (ქ. თბილისის №1 დამხმარე სკოლა-ინტერნატი), მათემატიკის მასწავლებლები: მ. ტაბატაძე, მ. ჩიქოვანი (ქ. თბილისის უსინათლოთა სკოლა-ინტერნატი), ვ. ბოკუჩოვა, გ. მგალობლიშვილი (ქ. თბილისის ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატი), ბ. დგებუაძე (ქ. თბილისის №1 დამხმარე სკოლა-ინტერნატი); გეოგრაფიის მასწავლებლები: გ. ჯაბრიელოვა, მ. კოტეტიშვილი (ქ. თბილისის უსინათლოთა სკოლა-ინტერნატი), მ. შაიშმელაშვილი (1 კლასის მასწავლებელი ქ. სიღნაღის ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. თბილისის ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატში დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული შრომითი სწავლება.

აღნიშნული მიღწევების მიუხედავად, სპეციალური სკოლა-ინტერნატების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ქ. თბილისის № 1 დამხმარე სკოლა-ინტერნატში ცუდათაა დაყენებული აღსაზრდელთა მოვლა-პატრონობის საქმე, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა აღსაზრდელთა პირადი ჰიგიენის დაცვას. ზედარგანის, ახალციხისა და თბილისის № 1 დამხმარე, ქუთაისის და სიღნაღის ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილი რბილი და მაგარი ინვენტარით, არა აქვთ საკმაო რაოდენობით თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალები. ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატში აღსაზრდელთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები არაა წესრიგში მოყვანილი. ქუთაისის ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატს არ აქვს იზოლატორი, პედაგოგიური საბჭოს სხდომები არ ტარდება რეგულარულად (ახალციხის და სიღნაღის სკოლა-ინტერნატები).

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქართული ენა და ლიტერატურა ქ. თბილისის № 1 დამხმარე სკოლა-ინტერნატში. ამ საგნის მასწავლებლები ქ. ჭარხალაშვილი და მ. ჩუტკერაშვილი ვერ ფლობენ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდებსა და ხერხებს, დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე.

ზედარგნის დამხმარე სკოლა-ინტერნატში ძალზე სუსტადაა დაყენებული რუსული ენის სწავლება. მასწავლებელი გ. ჩიკვილაძე ვერ ფლობს რუსულ ენასა და მისი სწავლების მეთოდებს. ზეპირსა და წერითს მეტყველებაში უშვებს შეცდომებს. არასწორად ხსნის ცალკეული სიტყვების მნიშვნელობას, ზერელედ ასწორებს წერით ნამუშევრებს.

ქ. თბილისის ყრუმუნჯთა სკოლა-ინტერნატში მოსწავლეებს ჯერ კიდევ უჭირთ მეტყველებითი გამოთქმა, რაც ამ სკოლის მთავარ ამოცანას შეადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაც. ადგილი აქვს ბიუჯეტის სხვადასხვა მუხლებში, როგორც გადახარჯვას, ასევე აუთვისებლობას. ზედარგანის დამხმარე და სილნალის ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატებში საბუხჰალტრო დოკუმენტაცია არაა მოწესრიგებული.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლა-ინტერნატის მასწავლებლებმა და ხელმძღვანელობამ:

ა) გაკვეთილებისათვის სისტემატური და გულმოდგინე მომზადებით ბეჯითად იმუშაონ პროგრამული მასალის საფუძვლიანად გავლის, მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების მკვეთრად ამაღლებისა და საფუძვლიანი ცოდნის მისაღწევად;

ბ) თვალსაჩინოების, დაკვირვებების, ექსკურსიების და სხვა პრაქტიკულ სამუშაოთა ფართოდ გამოყენებით ხელი შეუწყონ მოსწავლეთა შრომით აღზრდას და მათ მომზადებას მომავალი პრაქტიკული საქმიანობისათვის;

გ) სისტემატურად დაესწრონ მასწავლებლებს გაკვეთილებზე, პერიოდულად განიხილონ შედეგები და ფართოდ განაზოგადონ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება;

დ) იზრუნონ აღსაზრდელთა პირადი ჰიგიენის დაცვისა და მათი მოვლა-პატრონობის საქმის გაუმჯობესებისათვის,

2. რუსული ენის უცოდინარობისა და ამ საგნის სწავლების ცუდად დაყენების გამო შეუძლებლად ჩაითვალოს ზედარგნის დამხმარე სკოლა-ინტერნატის მასწავლებელ გ. ჩიკვილაძის დატოვება ამ სამუშაოზე; სკოლა-ინტერნატის დირექციამ წარმოადგინოს პროექტი ახალი სასწავლო წლიდან გ. ჩიკვილაძის სხვა სამუშაოზე გამოყენების შესახებ.

საგნის სწავლების ცუდად დაყენებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო გამოეცხადოს საყვედური თბილისის № 1 დამხმარე სკოლა-ინტერნატის მასწავლებლებს ქ. ჭარხალაშვილსა და მ. ჩუტკერაშვილს.

3. საბავშვო სახლების, სპეცსკოლების და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (ამხ. ვ. ჩინჩალაძე) გადასინჯოს სპეცია-

ლური სკოლების სასწავლო გეგმები, პროგრამები და ახალი სასწავლო წლისათვის წარმომიდგინოს დასამტკიცებლად.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 29 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 331

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 5 აპრილი

**საქართველოს სსრ განათლების ორგანოებში შრომითი დავის განხილვის ახალი დებულების გასატარებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიერ წარდგენილი დებულება შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 იანვრის ბრძანებულებით, მნიშვნელოვნად ადიდებს ადგილობრივი ორგანოების როლს. შრომითი დავის არსებითი გადაწყვეტა მოხდება სკოლებსა და განათლების ორგანოებისადმი დაქვემდებარებულ სხვა დაწესებულებებში, ხოლო საჭირო შემთხვევაში კი სახალხო სასამართლოში. ახალი დებულებით შემცირებულია რაოდენობა ინსტანციებისა, სადაც უნდა მიემართა მუშა-მოსამსახურეს ადმინისტრაციასთან შრომითი დავის მოსაგვარებლად.

შრომითი დავის განხილვის ახალი დებულების განათლების ორგანოებში განუხრელად გატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებებმა და განათლების ორგანოებისადმი დაქვემდებარებულ სხვა დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, ახალი დებულების შესაბამისად მოაწყონ შრომითი დავის განმხილველი კომისიები და უზრუნველყონ მათი მუშაობის სწორი ორგანიზაცია, რისთვისაც:

ა) მოაწყონ შრომითი დავის განხილვის დებულების გაცნობა-შესწავლა, სწორად დააყენონ შრომითი დავის განმხილველი კომისი-

ების მუშაობა, ადმინისტრაციის მხრივ ამ კომისიებში მონაწილეობა მიიღონ სკოლის დირექტორებმა და განათლების ორგანოსადმი დაქვემდებარებულმა სხვა დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, დებულებით დადგენილ ვადებში განიხილონ შრომითი დავები და მათი გადაწყვეტა მოახდინონ შრომის კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) განუმარტონ სკოლის დირექტორებს და განათლების ორგანოს სხვა დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომ დებულების მე-9 პუნქტის საფუძველზე შრომითი დავის განმხილველი კომისიის ტექნიკურ მომსახურებას (საქმისწარმოება, საქმეების შენახვა, სხდომის ოქმების ამონაწერების გაცემა და სხვ) განახორციელებს დაწესებულება და ადმინისტრაციის ბრძანებით დაინიშნება მუშაკი, რომელსაც დაეკისრება კომისიის ტექნიკური მომსახურება.

2. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების გაუქმების გამო, განათლების განყოფილებებმა მასწავლებელთა სამუშაოდან დათხოვნის (უვარგისობით) და სამუშაოზე აღდგენის შესახებ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებაში წარდგინებას დაურთონ სკოლის შრომითი დავის განმხილველი კომისიის, ადგილკომის ან სასამართლოს გადაწყვეტილება.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ საქართველოს სსრ განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი ახალი დებულების გაცნობა-შესწავლის მიზნით რესპუბლიკაში ატარებს ზონალურ საკონსულტაციო თათბირებს პროფკავშირის აქტივთან, რომელსაც ესწრებიან განათლების განყოფილებათა გამგეები და რაიონების სკოლის დირექტორები (ზონის მიხედვით).

4. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (დირექტორი ამხ. გ. ასპინძელაშვილი) ადმინისტრაციული პერსონალის კურსების სასწავლო გეგმაში შეიტანოს დებულების — „შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ“ და მასთან დაკავშირებული შრომის კანონმდებლობის საჭირო საკითხების შესწავლა.

5. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ (რედაქტორი ამხ. გ. საჯაია) თანმიმდევრულად გააშუქოს შრომითი დავის განმხილველი კომისიების მუშაობის ორგანიზაცია და აწარმოოს შრომის კანონმდებლობის პროპაგანდა.

6. მინისტრის მოადგილემ ამხ. თ. ზახაშვილმა ამ ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს სათანადო კონტროლი.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **ზ. ჯიბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 420

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 13 აპრილი

### სკოლებთან ბუფეტებისა და სასადილოების გახსნისა და მათი მუშაობის მდგომარეობის შესახებ

ზემდგომი ორგანოების შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ სასკოლო ბუფეტებისა და სასადილოების მუშაობას ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს.

რესპუბლიკის ქალაქების 425 საშუალო სკოლიდან ბუფეტები მოწყობილია მხოლოდ 279 სკოლაში, სასადილოები კი—11 საშუალო სკოლაში. განათლების ადგილობრივი ორგანოები და სკოლების დირექტორები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს, არ ზრუნავენ ბუფეტებისა და სასადილოებისათვის საჭირო ოთახების გამოყოფაზე. დღემდე არაა გახსნილი სასადილოები ქ. ქ. სოხუმის, ბათუმის, სტალინირის, რუსთავის, მცხეთის, კასპისა და სხვა რაიონული ცენტრების საშუალო სკოლებში.

არ არის დაწესებული საზოგადოებრივი კონტროლი ბუფეტებისა და სასადილოების კვების პროდუქტებით მომარაგების საქმეზე. მოუგვარებელია აბონემენტებისა და ტალონების წინასწარი გაყიდვა.

რესპუბლიკის ბევრ სკოლაში არ ხორციელდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება გაკვეთილებსა და ცვლებს შორის დასვენებების შემცირების აკრძალვის შესახებ.

ბუფეტებისა და სასადილოების მუშაობის გაუმჯობესების საქმეში საჭირო მონაწილეობას არ ღებულობენ მასწავლებლები, მშობელთა კომიტეტები და სასკოლო ორგანიზაციები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. გადამჭრელი ზომები მიიღონ ქალაქებისა და რაიონული ცენტრების საშუალო სკოლებში სასკოლო ბუფეტების მოსაწყობად, ხოლო ქ. ქ. თბილისში, სოხუმში, ქუთაისში, ფოთში, გორში, ჭიათურაში, ტყიბულში, მახარაძეში, სამტრედიასა და ბორჯომში სასკოლო სასადილოებისათვის სათანადო ბინების გამოსაყოფად.

2. აამაღლონ სკოლების დირექტორების პასუხისმგებლობა მოსწავლეთა კვების მოწესრიგების საქმისადმი.

3. მჭიდრო კავშირი დაამყარონ ადგილობრივ სავაჭრო ორგანოებთან და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სკოლებში ბუფეტებისა და სასადილოების სათანადოდ მოსაწყობად და მათ მუშაობაზე საზოგადოებრივი კონტროლის უზრუნველსაყოფად.

4. ახალი სასწავლო წლისათვის მზადებისას ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბუფეტებისა და სასადილოების შეკეთებასა და კეთილმოწყობას.

5. სასტიკად დასაჯონ სკოლის ის ხელმძღვანელები, რომლებიც დაუშვებენ გაკვეთილებს შორის დაწესებული დასვენების ხანგრძლივობის შემცირებას.

6. სასკოლო ბუფეტებისა და სასადილოების გახსნისა და მათი მუშაობის საქმეში მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებითა და მითითებებით (№ 573 17/V—1956 წ; № 1734 10/XII—1956 წ; № 354 11/IV—1956 წ; № 416 12/III—1957 წ.) და უზრუნველყონ მათი განუხრელად განხორციელება.

II. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ა. ლადუა) ახალი სასკოლო შენობების მშენებლობის დაპროექტებისას გაითვალისწინოს ბუფეტებისა და სასადილოებისათვის სათანადო ბინები.

III. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ უზრუნველყოს ახალი სასწავლო წლისათვის 50.0 ათასი მანეთის მაგიდებისა და სკამების შეძენა სკოლებთან არსებული ბუფეტებისა და სასადილოების მოსაწყობად.

IV. განათლების განყოფილებათა გამგეებმა უზრუნველყონ ბუ-ფეტებისა და სასადილოების მოსაწყობად საჭირო ინვენტარზე სათანადო განცხადების დროულად წარმოდგენა მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებაში. ამ დანიშნულებისათვის საჭირო თანხები გაღებულ იქნას 1957 წლის ბიუჯეტით განათლების ხაზით ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად ასიგნებული სახსრებიდან.

V. სკოლების სამმართველომ (გ. საყვარელიძე) აღნიშნული ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ კოლეგიას მოახსენოს მიმდინარე წლის სექტემბერში.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 5 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **ვ. ჟიბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 463

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 18 აპრილი

### სკოლებში კინომომსახურეობის გაუმჯობესების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის სკოლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასწავლო კინოს გამოყენების საქმე, ბევრ სკოლაში კინოფილმების დემონსტრირება ჯერ კიდევ იშვიათად ან სრულებით არ ხდება. ამ მდგომარეობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მასწავლებლები და უფროსი კლასების მოსწავლეები არ იცნობენ კინოაპარატის მართვის ტექნიკას.

ყველა სკოლაში, სარაიონთაშორისო კინობაზებსა და პიონერთა სახლებში არ არის ჩამოყალიბებული წრეები „ნორჩი კინომექანიკოსების“ მოსამზადებლად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სათანადო დახმარება აღმოუჩინონ სარაიონთაშორისო კინობაზებს „ნორჩ კინომექანიკოსთა“ წრეების ჩამოყალიბებაში;

ბ) ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში გამოცდილების ურთიერთ გაზიარება ღია გაკვეთილების ჩატარების გზით;

გ) პედაგოგიურ კაბინეტებში მოაწყონ მუდმივი სტენდი რაიონის საუკეთესო მასწავლებელთა მიერ გაკვეთილებზე კინოს გამოყენების გამოცდილების გასაშუქებლად.

2. კინოფიცირებული სკოლების დირექტორებმა:

ა) გამოყონ კვალიფიციური პირი, რომელიც კინოაპარატისა და კინოფიკაციის მთელი საქმის ორგანიზაციის პასუხისმგებელი

იქნება სკოლაში და სისტემატური დახმარება აღმოუჩინონ მას;

ბ) სისტემატურად გააცნონ მასწავლებლებს ახალი ფილმები და დიაფილმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. სკოლები, რომელთაც საკუთარი კინო აპარატი აქვთ, უზრუნველყოფილ იქნან „გლავკინოპროკატის“ ფილმების ფონდით.

4. სკოლებში, სარაიონთაშორისო კინობაზებსა და სკოლის გარეშე დაწესებულებებში უფროსი კლასის მოსწავლეთაგან ჩამოყალიბდეს „ნორჩ კინომექანიკოსთა“ წრეები (არა უმეტეს 15 კაცისა თითოეულ წრეში).

5. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. გ. ასპანიძე ლაშვილი):

ა) ერთი კვირის ვადაში დაამუშაოს „ნორჩ კინომექანიკოსთა“ წრის პროგრამა;

ბ) მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე სასწავლო გეგმის ზევით ჩაატაროს ლექციები გაკვეთილებზე კინოს გამოყენებისა და სკოლაში კინომუშაობის ორგანიზაციის საკითხებზე;

გ) გაითვალისწინოს გეგმაში (5 ივნისიდან 5 ივლისამდე) ქ. თბილისის სკოლების ფიზიკის, ქიმიის და გეოგრაფიის მასწავლებელთაგან ხმოვანი კინოს 30 დემონსტრატორის მომზადება.

6. თბილისის პუშკინის სახელობის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, სტალინირის, გორისა და თელავის პედაგოგიური ინსტიტუტების დირექტორებმა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტთაგან ყოველწლიურად მოამზადონ და გამოუშვან ხმოვანი ვიწროფირიანი კინოს დემონსტრატორები.

7. ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ (ამხ. თ. მათიაშვილი) პედაგოგიური კაბინეტის სამუშაო გეგმაში შეიტანოს ლექციების ჩატარება გაკვეთილებზე სასწავლო კინოს გამოყენების შესახებ.

8. განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ (ამხ. დ. ჯავახია) სახელმძღვანელოების გამოცემის 1958 წლის გეგმაში შეიტანოს ნორჩმექანიკოსთა სახელმძღვანელოს გამოცემა ექვსი თაბახის მოცულობით, ხუთი ათასი ცალის რაოდენობით.

9. განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა განყოფილებამ (ამხ. ს. არველაძე) უზრუნველყოს ქალაქდით შემდეგი მასალების დაბეჭდვა:

ა) „ნორჩი კინომექანიკოსის“ მოწმობა — 1000 ცალი;
ბ) კინომექანიკოსის მუშაობის დღიური — 2000 ცალი;
გ) კინოაპარატის ტექნიკური პასპორტი — 1000 ცალი;
დ) გამოკვლევის აქტი — 1000 ბლანკი;
ე) სარაიონთაშორისო კინობაზების ნაკრები — 1000 ბლანკი;
ვ) პირადი ბარათი (ცნობები გაკვეთილებზე ფილმების გამოყენების შესახებ) — 3000 ბლანკი;
ზ) სასკოლო საპროექტო კინოაპარატის შემსწავლელი წრის პროგრამა (სასკოლო წრეების ხელმძღვანელთათვის) — 500 ცალი.

10. სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. საყვარელიძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას და შედეგების შესახებ მოახსენოს ა/წ. 18 ოქტომბერს.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 5 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 464

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 18 აპრილი

**საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლამდელი აღზრდის მუშაკთა მეთოდური თათბირის მიერ მიღებული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ**

§ 1.

საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლამდელი აღზრდის მუშაკთა მეთოდური თათბირის მიერ 1957 წლის 28-29 მარტს მიღებული ღონისძიებები დამტკიცდეს.

§ 2.

დაევალოს საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებას (უფროსი ვ. ჩინჩალაძე) უზრუნველყოს კონტროლი თათბირის მიერ მიღებულ ღონისძიებათა განხორციელებაზე.

§ 3.

სკოლამდელი აღზრდის მუშაკთა მეთოდური თათბირის მიერ 1957 წლის 28-29 მარტს მიღებული ღონისძიებები დაიბეჭდოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა კრებულში.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 12 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლამდელი აღზრდის მუშაკთა მეთოდური თათბირის მიერ მიღებული ღონისძიებანი

### I. საბავშვო ბაღების ქსელის გაფართოების დარგში:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ მოამზადოს საკითხი:

ა) რესპუბლიკის ქალაქებში დიდი საცხოვრებელი ბინების მშენებლობის მთლიანი ფართობიდან საბავშვო ბაღებისათვის გათვალისწინებული 5%-ის ნორმის დაცვის შესახებ;

ბ) ქ. ქ. თბილისის, ბათუმის და სოხუმის ერთ-ერთ საბავშვო ბაღის სადღეღამისო საბავშვო ბაღად გადაკეთების შესახებ;

გ) ქ. თბილისის მე-15, 28-ე, 56-ე და 132-ე საბავშვო ბაღების შენობების განთავისუფლებისა და რესპუბლიკის სხვა საბავშვო ბაღების ბინებიდან კერძო პირთა და სხვა დაწესებულებათა გამოსახლების შესახებ;

### II. სკოლამდელი აღზრდის მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების დარგში

1. უმაღლესი სკოლებისა და პედაგოგიური სასწავლებლების სამმართველომ საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებასთან ერთად დაამუშაოს საკითხი პედაგოგიურ სასწავლებლებსა და ინსტიტუტებთან სკოლამდელი აღზრდის მუშაკებისათვის დაუსწრებელი განყოფილების გახსნის შესახებ;

2. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა მიმდინარე სასწავლო წელს გაითვალისწინოს რესპუბლიკის შორეულ რაიონებში სკოლამდელი აღზრდის მუშაკებისათვის სემინარების ჩატარება;

3. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა განყოფილებამ მოამზადოს საკითხი სკოლამდელი აღზრდის მუშაკთა შორეული ექსკურსიის მოწყობის შესახებ.

4. განათლების განყოფილებათა გამგეებმა საბავშვო ბაღები დააკომპლექტონ პედაგოგიური განათლების მქონე კადრებით.

### III. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის დარგში

1. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინაშე ქალაქებისა და რაიონების საბავშვო ბაღებში საექიმო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ;

2. ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა საბავშვო ბაღების გამგეებთან ერთად უზრუნველყონ ბავშვებისათვის დღის ძილის მოწყობა, რეჟიმის ზუსტად გატარება, მრავალფეროვანი და სრულფასოვანი კვების მიცემა, ბავშვთა საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის შესაფერისად მომზადება-ჩატარება.

3. განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ მოამზადოს საკითხი კოლეგიისათვის რესპუბლიკის რაიონების საბავშვო ბაღებში კვების პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა გატარების შესახებ;

ბ) შეიმუშაოს პროექტი და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს კოლეგიას საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ფასიანი კვების შემოღების შესახებ;

გ) საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებასთან ერთად შეიმუშაოს პროდუქტების ხარჯვის აღრიცხვის ფორმები და დაეგზავნოს რესპუბლიკის ყველა საბავშვო ბაღს;

დ) გააუმჯობესოს საბავშვო ბაღებისათვის მაგარი ინვენტარის დამზადების ხარისხი.

4. განათლების სამინისტროს სათამაშოების სამხატვრო ტექნიკურმა კომისიამ მოამზადოს საკითხი პროგრამის მიხედვით შერჩეული დიდაქტიკური სათამაშოების წარმოებაში დანერგვის შესახებ.

F 2037

## IV მეთოდური და პედაგოგიური ლიტერატურის გამოცემის დარგში

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა:

ა) უახლოეს. დროში გამოსცეს დამზადებული მეთოდური წერილები:

„პედაგოგიური მუშაობის აგეგმვა — აღრიცხვა“, „ქართული ენა საბავშვო ბაღში“, „ბუნების გაცნობა საბავშვო ბაღში“, „მეცადინეობა საბავშვო ბაღში“, „ბავშვების თამაშობანი საბავშვო ბაღის ნაკვეთზე“.

ბ) ყოველთვიურმა პედაგოგიურმა ჟურნალმა „კომუნისტური აღზრდისათვის“ — მეტი რაოდენობით მოათავსოს წერილები სკოლამდელი აღზრდის მუშაკთა გამოცდილებიდან.

2. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ — სისტემატურად გააშუქოს საბავშვო ბაღების მუშაობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

## V. ხელმძღვანელობის დარგში

I. რესპუბლიკის საბავშვო ბაღების გამგეებმა ყოველდღიური ზომები მიიღონ საბავშვო ბაღების გარემოს წესრიგში მოყვანისათვის, უზრუნველყონ ისინი საჭირო ინვენტარით, სათამაშოებითა და სასწავლო ნივთებით, გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი პედაგოგების ყოველდღიურ მუშაობაზე, სისტემატურად დაესწრონ სხვადასხვა სახის მეცადინეობებს, ანალიზი გაუკეთონ ჩატარებულ მუშაობას და სწორი მეთოდური მითითებანი მისცენ აღმზრდელებს. განაზოგადონ მოწინავე პედაგოგების გამოცდილებანი, გააუმჯობესონ პედაგოგიური თათბირების მუშაობის ხარისხი, მტკიცე კავშირი დაამყარონ და გააძლიერონ მუშაობა მშობლებთან.

2. განათლების განყოფილებათა გამგეებმა გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი საბავშვო ბაღებისა და მეთოდგაერთიანებების მუშაობაზე, სისტემატურად შეამოწმონ და მოისმინონ საკითხები საბავშვო ბაღების პედაგოგიურ — აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ.

3. საგეგმო — საფინანსო სამმართველომ მოამზადოს საკითხი საბავშვო ბაღების შტატის გადასინჯვის შესახებ;

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი გ. ჟიბლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 477

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 20 აპრილი

### XI. რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ XI სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენცია წინა წლებთან შედარებით უფრო შინაარსიანად ჩატარდა. იგი საყურადღებო ღონისძიებად გადაიქცა მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა-განზოგადებისა და სკოლასთან კავშირის განმტკიცების საქმეში.

რსფსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის, უკრაინის სსრ, აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტების წარმომადგენელთა მონაწილეობამ კიდევ უფრო გაზარდა XI სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის მნიშვნელობა.

კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები (სულ წაკითხულ იქნა 127 მოხსენება, მათ შორის 91 სკოლის პრაქტიკოსი მუშაკებისა) შეეხებოდა მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის აქტუალურ საკითხებს, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ XX ყრილობის მიერ სკოლისა და პედაგოგიკურ მეცნიერებათა წინაშე დასახული ამოცანებიდან. კერძოდ, კონფერენციის მუშაობაში წამყვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი სკოლაში პოლიტექნიკური სწავლების განხორციელების თეორიული და პრაქტიკულ-ორგანიზაციული საკითხების გაშუქებას. მოხსენებათა მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა კომუნისტური აღზრდის ისეთ საკითხებს, როგორიცაა მოსწავლეთა აღზრდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, პიონერული ორგანიზაციების მუშაობა სკოლაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდა და სხვ. გარდა ამისა, კონფერენციამ ცალკეულ დისციპლინათა სწავლების საკითხებზე მრავალი საყურადღებო მოხსენება განიხილა.

კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის 31 რაიონისა და ქალაქის მასწავლებლებმა, განსაკუთრებით აღსანიშნავია აჭარისა და აფხაზეთის ასსრ, ქალაქები: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი და ფოთი, სიღნაღის, სამტრედიის და მახარაძის რაიონები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრა, თბილისის პუშკინის სახელობის და უცხო ენების, გორის და ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტები და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი.

XI სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის მომზადებასა და მუშაობაში ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებსაც. მოხსენებათა ერთი ნაწილი არ წარმოადგენდა პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებას და უმთავრესად ემპირიული ხასიათისა იყო. ზოგიერთი სექციის მუშაობის დღის წესრიგი გადატვირთული იყო, რაც ართულებდა მოსმენილ მოხსენებათა საფუძვლიან განხილვას. კონფერენციაზე არ იყო მოწვეული საბავშვო კოლონიების აღმზრდელები.

თბილისის განათლების განყოფილებამ (გამგე თ. მათიაშვილი) სათანადოდ ვერ უზრუნველყო თბილისის მასწავლებელთა დასწრება კონფერენციის პლენარულ სხდომებზე და მხოლოდ განათლების სამინისტროს უშუალო ჩარევის შემდეგ მოხერხდა მათი გამოცხადება სექციის სხდომებზე. სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციისადმი გაუმართლებელ დაუინტერესებლობას იჩენენ კასპის, მაიაკოვსკის, ყაზბეგის, დუშეთის. საჩხერის. მესტიის. ხობის და სხვა რაიონის განათლების განყოფილებები, სოხუმისა და სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი სათანადოდ არ აფასებენ მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა-განზოგადების საქმეს.

მომავალი „პედაგოგიური კითხვისა“ და XII სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის მაღალხარისხოვნად მომზადებისა და ჩატარებისათვის.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში 1953 წლის იანვრის არდადეგების პერიოდში ჩატარდეს „პედაგოგიური კითხვა“, მარტის არდადეგების დროს კი პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა

თბილისში ჩაატაროს მორიგი XII სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენცია.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს აქედანვე გაატარონ სათანადო ღონისძიებანი, „პედაგოგიურ კითხვაში“ მასწავლებელთა ფართოდ ჩაბმისათვის.

3. დაევალოს სახელმწიფო პედაგოგიური და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების დირექტორებს სისტემატური დახმარება გაუწიონ მასწავლებლებს, რომლებიც „პედაგოგიურ კითხვაში“ არიან ჩაბმული და თავის მხრივ სამეცნიერო კონფერენციაზე განსახილველად წარადგინონ პედაგოგიკისა და მეთოდიკების დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმით შესრულებული საუკეთესო ნაშრომები.

4. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა:

ა) წელსვე მოამზადოს გამოსაცემად XI სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე წაკითხული და დასაბეჭდად მოწონებული მოხსენებები და გამოსცეს იგი მომავალი წლისათვის;

ბ) ა. წ. 15 ივნისამდე მისცეს წერილობითი დასკვნები და რეცენზიები მოხსენებებს, რომლებიც კონფერენციის დღის წესრიგში არ ყოფილა შეტანილი;

გ) აქედანვე შეუდგეს მომავალი „პედაგოგიური კითხვისა“ და XII სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციისათვის მზადებას. ამ მიზნით ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები მიავლინოს რაიონებში.

დ) განსაკუთრებული ყურადღებით შეარჩიოს მოხსენებები XII სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციისათვის და არ დაუშვას დღის წესრიგის გადატვირთვა.

ე) მოამზადოს და 15 ივნისამდე წარუდგინოს განათლების სამინისტროს ნიმუში სიგელისა, რომლითაც მომავალში დაჯილდოვდებიან მასწავლებლები სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე წაკითხული საუკეთესო მოხსენებებისათვის.

5. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ და ჟურნალმა „კომუნისტური აღზრდისათვის“ ფართოდ გააშუქონ „პედაგოგიური კითხვისა“,

და სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის მუშაობა, გამოაქ-ვეყნონ მასწავლებელთა საუკეთესო მოხსენებები და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების გავრცე-ლებას.

ბიბლიოთეკა

6. XI სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე წარმოდგე-ნილი საუკეთესო მოხსენებებისათვის, რომლებიც ასახავს მოწინავე პედაგოგიურ გამოცდილებას და სწავლა-აღზრდის საქმის შემდგომ გაუმჯობესებას ემსახურება, გამოეცხადოს მადლობა სკოლის შემ-დეგ მუშაკებს:

### პედაგოგიკის სექციაში

1. ი. ჭაბაშვილს (წნორის საშ. სკოლა), 2. გ. კობახიძეს (თბილი-სის 77-ე საშ. სკოლა), 3. მ. გელაშვილს (თბილისის 102-ე შვიდ-წლიანი სკოლა). 4. გ. კალანდარიშვილს (მახარაძის 1-ლი საშ. სკო-ლა). 5. რ. ნაოჭაშვილს (გორის 1-ლი საშ. სკოლა), ნ. აროშიძეს (ბა-თუმის მე-2 საშ. სკოლა). 7. ლ. სინჯიკაშვილს (სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის საშ. სკოლა), 8. მ. ლ. მელაძეს (თბილისის 67-ე საშ. სკოლა), 9. ნ. ბარგანჯიას (გუდაუთის რაიონის ახალი ათონის საშ. სკოლა).

### ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების სექციაში

1. ვ. სოსელიას (ვანის რაიონის ფერეთის შვიდწლიანი სკოლა), 2. ლ. ჭიჭინაძეს (თბილისის 67-ე საშ. სკოლა), 3. ა. გადილიას (სო-ხუმის რაიონის შრომის საშ. სკოლა), 4. ვ. ჯუგაშვილს (ახმეტის რაიონის მატანის საშ. სკოლა), 5. ვ. კოპალაძეს (ქუთაისის რკინი-გზის 21-ე საშ. სკოლა), 6. თ. სიხარულიძეს (ბათუმის მე-9 საშ. სკო-ლა), 5. რ. ნაოჭაშვილს (გორის 1-ლი საშ. სკოლა), ნ. ხროშიძეს (ბა-(ხაშურის რაიონის ქეშფერის შვიდწლიანი სკოლა).

### რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების სექციაში

1. ვ. დგებუაძეს (სამტრედიის მე-2 საშ. სკოლა), 2. რ. შმელე-ტევს (თბილისის 81-ე საშ. სკოლა), 3. ბ. შიგინოვას (თბილისის 36-ე საშუალო სკოლა) 4. ნ. კორსუნსკის (მახარაძის რაიონის ანასე-ულის საშ. სკოლა).

## უცხო ენების სწავლების მეთოდიკების სექციაში

1. ბ. შაიშმელაშვილს (სიღნაღის რაიონის ნუკრიანის საშ. სკოლა), 2. გ. ერლიხს (ფოთის მე-4 საშ. სკოლა), 3. ი. ბერიშვილს (სიღ-ნალის რაიონის ბოდბისხევის საშ. სკოლა).

## ისტორიის სწავლების მეთოდიკის სექციაში

1. ვ. ზექალაშვილს (გორის მე-2 საშ. სკოლა), 2 გ. ხოხლენკოს (მახარაძის 1-ლი საშ. სკოლა). 3. ნ. ჭკუასელს (ჩოხატაურის რაიონის საჭამიასერის საშ. სკოლა), 4. ლ. ჯაყელს (ხულოს რაიონის თაგოს შვიდწლიანი სკოლა), 5. გ. ელიავას (გეგეჭკორის საშ. სკოლა).

## გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკის სექციაში

1. ლ. ნოზაძეს (ქუთაისის მე-17 საშ. სკოლა), 2. ლ. კახაძეს (სამტრედიის რაიონის იანეთის საშ. სკოლა), 3. შ. საგინაშვილს (თელავის რაიონის ნაფარეულის საშ. სკოლა); 4. შ. ავალიანს (ქუთაისის მე-12 საშუალო სკოლა).

## მათემატიკის სწავლების მეთოდიკის სექციაში

1. ნ. გამყრელიძეს (თბილისის მე-11 მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლა), 2. გ. კაკაბაძეს (ქუთაისის 1-ლი საშ. სკოლა).

## ფიზიკის სწავლების მეთოდიკის სექციაში

1. ი. წერეთელს (რუსთავის მე-2 საშ. სკოლა), 2. პ. ბარამიძეს ფოთის მე-2 საშ. სკოლა), 3. გ. ჯაყელს (ქობულეთის რაიონის ხალას საშ. სკოლა).

## ქიმიის სწავლების მეთოდიკის სექციაში

1. ვ. სანიკიძეს (ბათუმის მე-13 საშ. სკოლა), 2. ვ. პატაპოვა-კარტოზიას (ზესტაფონის მე-4 საშ. სკოლა), 3. მ. მურვანიძეს (ფოთის მე-2 საშ. სკოლა), 4. მ. ჭულუხაძეს (ზესტაფონის რაიონის 1-ლი სვირის საშ. სკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკის სექციაში

1. ლ. მდინარაძეს (თბილისის 65-ე საშ. სკოლა), 2. დ. კბილა-შვილს (თელავის რაიონის ვანთის საშ. სკოლა), 3. პ. [illegible] (ავჭალის საშ. სკოლა), 4. ო. ცეკვაშვილს (ცხაკაიას რაიონის ძველი სენაკის საშ. სკოლა), 5. გ. გოგიჩაიშვილს (თბილისის ნორჩ ნატურალისტთა სადგური).

შრომითი პოლიტექნიკური სწავლების მეთოდიკის სექციაში

1. ლ. რუხაძეს (წულუკიძის რაიონის, ქუტირის საშ. სკოლა), 2. ს. თავაძეს (ფოთის 1-ლი საშ. სკოლა).

7. ეს ბრძანება გამოქვეყნდეს გაზ. „სახალხო განათლებასა“ და განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა მორიგ კრებულში.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 12 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 479

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 22 აპრილი

**მცხეთის რაიონის ქსოვრისის საშუალო სკოლის დირექტორ ა. რ. გოგიას მოქმედების შესახებ**

აღვნიშნავ, რომ მცხეთის რაიონის სოფ. ქსოვრისის საშუალო სკოლის დირექტორმა ა. რ. გოგიამ ამავე სკოლის მასწავლებლების თ. ბუდაღაშვილისა და მ. მჭედლიშვილს შორის არსებულ კონფლიქტთან დაკავშირებით არ შეასრულა განათლების მინისტრის განკარგულება მასწ. მ. მჭედლიშვილის გაკვეთილებზე არდაშვების შესახებ და 1957 წლის 4 აპრილს ნება დართო მას ჩაეტარებია გაკვეთილი III კლასში. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ადგილკომთან არსებულმა შრომითი დავის კომისიამ სკოლის დირექტორის ამხ. გოგიას თავმჯდომარეობით 1957 წლის 22 მარტს დაადგინა მასწავლებლების მ. მჭედლიშვილის, თ. ბუდაღაშვილისა და ლაბორანტი ზ. ლოხიშვილის სამუშაოდან განთავისუფლება, როგორც დაკავებული თანამდებობისათვის შეუფერებლების, მან, ამხ. გოგიამ 5 აპრილს მისცა დადებითი დახასიათება მასწ. მ. მჭედლიშვილს, რითაც ჩაიდინა სკოლის დირექტორისათვის დაუშვებელი დანაშაული. ამხ. გოგიამ იგრძნო ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და შეეცადა მის შემსუბუქებას. მან მოახერხა მასწავლებელ მჭედლიშვილზე გაცემული დახასიათების უკან მიღება და გაუქმება.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დავალების შეუსრულებლობისათვის ქსოვრისის საშუალო სკოლის დირექტორს ალექსანდრე რევაზის-ძე გოგიას გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1957 წლის 12 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 484

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 23 აპრილი

**საქართველოს სს რესპუბლიკის საწარმოო სწავლების სკოლების მუშაობის პირველი შედეგების შესახებ**

უკრაინის სს რესპუბლიკის მაგალითზე საქართველოს სს რესპუბლიკაში 1956 — 57 სასწავლო წლიდან შემოღებულ იქნა საწარმოო სწავლება 20 საშუალო სკოლის თითო VIII კლასში. აღნიშნული კლასებისათვის დამუშავდა სპეციალური სასწავლო გეგმა და პროგრამები. საწარმოო სწავლების სკოლების დიდმა ნაწილმა სწორად გაიგო მათ წინაშე დასახული ამოცანები. კარგად არის ორგანიზებული საწარმოო სწავლება (სახარატო საქმე) ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. ქურიძე). ამ სკოლის VIII კლასის მოსწავლეები სასწავლო ნაწილის გამგის ხელმძღვანელობით ყოველ შაბათს დილით მიდიან სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მექანიკურ საამქროში, სადაც ტარდება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მეცადინეობა. საწარმოო სწავლების ხელმძღვანელი, საამქროს უფროსი ინჟინერ-მექანიკოსი მ. კბილაძე დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას. სპეციალურად გამოყოფილ ოთახში იგი მოსწავლეებთან ატარებს ორსაათიან თეორიულ მეცადინეობას, რის შემდეგ 30 მოსწავლიანი კლასი ორჯგუფად იყოფა და ოსტატები თვითეულ ხარატთან ანაწილებენ თითო-ოროლა მოსწავლეს. უნარიანად ხელმძღვანელობს საწარმოო სწავლებას ხარატი ი. ჭუმბურიძე. მოსწავლეები კარგად ითვისებენ პროგრამულ მასალას, განსაკუთრებით გამოირჩევიან მოსწავლეები ო. სითათიშვილი. თ. სოხაძე და სხვ.

თბილისის 57-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ვ. ჯიქია) VIII კლასის მოსწავლეებთან კარგად მუშაობს სატყეო მეურნეობის ინჟინერი ს. გამცემლიძე. სადურგლო საქმეში თეორიული მეცადინეობის დასრულების შემდეგ მასწავლებელ გამცემლიძეს მოსწავლეები მიყავს საავეჯო ფაბრიკაში და ატარებს მათთან პრაქტიკულ მუშაობას. ამხ. გამცემლიძე მოსწავლეებს იმგვარად ანაწილებს საამქროებში, რომ თვითეული მოსწავლე ერთდროულადაა პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმული. მოსწავლეები უკვე დაუფლებული არიან ხერხვას, რანდვას, ბურღვას და მოპირკეთებას, დამოუკიდებლად ამზადებენ სკამებს, რომლებიც თითქმის არ განსხვავდება კვალიფიციური მუშების მიერ დამზადებული სკამებიდან. მონდომებული მუშაობით, ხელმარჯვეობით გამოირჩევიან მოსწავლეები: თ. ლეჟავა, ჟ. ფარცვანია, ნ. მელაშვილი, ნ. ერაძე და სხვ. მოსწავლეები კარგად ერკვევიან საავეჯო მასალის გამოცნობასა და ავეჯის დამზადების ტექნოლოგიურ პროცესებში. ფაბრიკის დირექტორი ამხ. გ. ჭანტურია გულისხმიერად ეკიდება მოსწავლეთა საწარმოო სწავლების საქმეს. იგი ხშირად ესწრება მოსწავლეთა მუშაობას საამქროებში, კონსულტაციას უწევს და ენერგიულად ეხმარება მოსწავლეებს სპეციალობის ათვისების საქმეში.

სათანადო სიმაღლეზე დგას საწარმოო სწავლების საქმე ქ. სტალინირის მე-2 საშუალო სკოლის (დირექტორი ნ. ოსტაევი) VIII კლასში, რომელიც სადურგლო საქმის შესასწავლად მიმაგრებულია სტალინირის სატყეო კომბინატზე. ეს კომბინატი აღჭურვილია უახლესი მოწყობილობით და სრულ შესაძლებლობას იძლევა მეავეჯე, გამჭრიალებლისა და ჩარხზე მომუშავეთა მოსამზადებლად. თეორიული მეცადინეობისათვის წარმოებაში მოწყობილია ოთახი, რომელიც უზრუნველყოფილია საჭირო დგამ-ავეჯით, მოდელებით, პლაკატებით, სქემებით, დიაგრამებითა და ყველა აუცილებელი მასალით. მოსწავლეებთან თეორიულ მეცადინეობას ატარებს წარმოების მთავარი ინჟინერი. ა. ჭელიძე. იგი წინასწარ ამზადებს პრაქტიკის ხელმძღვანელ ოსტატებს მოსწავლეთა შორის მუშაობის სწორად გასანაწილებლად და თეორიული მასალის პრაქტიკასთან დასაკავშირებლად. ოსტატები მოსწავლეებთან ატარებენ ინსტრუქტაჟს, თვალყურს ადევნებენ მუშაობისას მოსწავლეთა მიერ ნახაზების გამოყენებასა და ტექნიკური ნორმების დაცვას, უსწორებენ დაშვებულ შეცდომებს და ნერგავენ მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუ-

შაობის ჩვევებს. სკოლაში ჩამოყალიბებულია მეთოდური კომისია, რომელშიც გაერთიანებულია ინჟინერ-ტექნიკოსები და მონათესავე საგნების მასწავლებლები. ასევე კარგადაა დაყენებული საწარმოო სწავლება ქ. თბილისის 66-ე (პროფილი—საზეინკლო საქმე), ქუთაისის მე-14 (პროფილი — ავტომანქანის საქმე) და მახარაძის რაიონის ანასეულის (პროფილი—ჩაის ტექნოლოგია) სკოლებში. მოსწავლეები წარმოებაში პრაქტიკულად ეცნობიან ფიზიკაში, ქიმიაში, მათემატიკასა და სხვა საგნებში მიღებული ცოდნის ცხოვრებაში გამოყენებას. საწარმოო სწავლების სკოლების VIII კლასებში გასულ სასწავლო წელთან შედარებით მნიშვნელოვნად ამაღლდა მოსწავლეთა წარმატება.

ამასთან ერთად საწარმოო სწავლების ზოგიერთი სკოლის მუშაობაში ადგილი აქვს მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს. ქ. თბილისის 37-ე სკოლის (დირექტორი ე. გეგიაძე) VIII კლასის მოსწავლეებთან საწარმოო სწავლების (პროფილი—ელექტრომონტიორი) თეორიული და პრაქტიკული გაკვეთილები სკოლის სახელოსნოში ტარდება, რის შედეგადაც მოსწავლეები არ იცნობენ წარმოების ცხოვრებას. ამდენად საწარმოო სწავლება ამ სკოლაში არასრულფასოვანია. სკოლის ახლოს არაა საწარმოო სასწავლო ბაზა მომავალი IX კლასებისათვის. ახალი სასწავლო წლიდან ამ კლასის მოსწავლეებს „ზაჰესში" მოუხდებათ პრაქტიკული მუშაობა. არათანმიმდევრულად არის დალაგებული VIII კლასის პროგრამული მასალა, პროგრამაში გათვალისწინებული ზოგიერთი საკითხი თავისი შინაარსით არ შეესაბამება ამ კლასის პროფილს. აუცილებელია VIII, IX კლასების პროგრამაში ზოგიერთი საკითხის გადაჯგუფება.

საწარმოო სწავლების სკოლებში არ ეწყობა წარმოებაში მოსწავლეთა მიერ შესრულებულ ნაკეთობათა ნიმუშების გამოფენები. არ არის დამყარებული საქმიანი კავშირი საწარმოო სწავლების ხელმძღვანელებსა და პოლიტექნიკური საგნების მასწავლებელთა შორის, არ ეწყობა მათი შეხვედრები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. წინასწარ არ ხდება მოსწავლეთათვის სამუშაოს დაგეგმვა, რის გამო სამუშაო ობიექტზე მოსწავლეთა განაწილებისას ზოგჯერ დრო უნაყოფოდ იკარგება.

არაა დანერგილი საწარმოო სწავლების ორგანიზაციის საქმეში მოწინავე გამოცდილების ურთიერთ გაზიარებისა და განზოგადების პრაქტიკა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

## I აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ქმედითი დახმარება გაუწიონ საწარმოო სწავლების სკოლებს, კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე მოისმინონ ამ სკოლების დირექტორების ანგარიში საწარმოო სწავლების მდგომარეობის შესახებ; გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ დასახონ კონკრეტული ღონისძიებები და უზრუნველყონ მათი განხორციელება.

2. მოსწავლეებთან მომუშავე ინჟინერ-ტექნიკოსების, აგრონომების, ოსტატებისა და ხელოსნების პედაგოგიზაციის მიზნით საბაზო წარმოებებში მოაწყონ მეცნიერ მუშაკთა, გამოცდილ მასწავლებელთა მეთოდისტთა საუბრები, მოხსენებები და ლექციები.

3. უზრუნველყონ საწარმოო სწავლების სკოლების მოსწავლეთა ფართო მონაწილეობა რაიონულ და საქალაქო გამოფენებში.

4. 1956/57 სასწავლო წლის ანგარიშებში ფართოდ გააშუქონ საწარმოო სწავლებაში გამოვლინებული მიღწევები და ნაკლოვანებანი.

## II საწარმოო სწავლების სკოლების დირექტორებმა:

1. სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩაატარონ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან საწარმოო სწავლების როლისა და ნიშვნელობის შესახებ; უზრუნველყონ საწარმოო სწავლების კლასების გეგმიანი და დროული დაკომპლექტება.

2. საჭირო დახმარება გაუწიონ საბაზო წარმოებათა მუშაკებს სწავლების ორგანიზაციისა და პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნების საქმეში; სისტემატურად დაესწრონ, როგორც თვითონ ასევე სასწავლო ნაწილის გამგეები, მოსწავლეთა მეცადინეობასა და მუშაობას.

3. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წარმოების პრაქტიკულ მუშაკთა და პოლიტექნიკური ციკლის საგნების მასწავლებელთა ურთიერთშორის კავშირის განმტკიცებას. ჩამოაყალიბონ შესაბამისი მეთოდური კომისიები და უზრუნველყონ მათი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

4. მიმდინარე სასწავლო წლის დასასრულს მოაწყონ სკოლებში მოსწავლეთა მიერ წარმოებებში დამზადებული ნიმუშების გამო-

ფენა, წარმოების მოწინავე მუშაკებისა და მოსწავლეების მოხსენე-ბები და საუბრები, მშობლებისა და მოსწავლეების ფართო მონა-წილეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. 1957 წლის 24 მაისისათვის წარმოადგინონ საქართველოს განათლების სამინისტროში დაწვრილებითი ანგარიში საწარმოო სწავლების შედეგებზე, ამ სკოლების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ სათანადო ღონისძიებებით.

III საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვა-ნელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ (ამხ. დ. ჯავახია) პედა-გოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან ერთად საწარმოო სწავლების სკოლების გამოცდილების საფუძველზე გა-დასინჯოს ამ სკოლების მოქმედი პროგრამები და შეიტანოს მათში საჭირო ცვლილებები.

IV მიმდინარე წლის 24 მაისს მოწვეულ იქნეს საწარმოო სწავ-ლების სკოლების დირექტორებისა და საბაზო წარმოებათა წარ-მომადგენლების თათბირი. თათბირი მოამზადოს სკოლების სამ-მართველომ (ამხ. გ. საყვარელიძე).

V გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის“ რედაქციებმა ფართოდ გააშუქონ საწარმოო სწავლების სკოლების მუშაობის მოწინავე გამოცდილება.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 12 აპრილის დადგენილება.

**საქართველოს სსრ განათლების**
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 517

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 27 აპრილი

### ბორჯომის რაიონის საბავშვო ბაღების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ბორჯომის რაიონის უმეტესი საბავშვო ბაღები დამაკმაყოფილებლად მუშაობენ. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ლიკანის საბავშვო ბაღი (გამგე თ. ხითაროვა). კარგი მატერიალური ბაზა, შესაფერისი გარემო და რეჟიმის ზუსტად დაცვა ხელს უწყობს ამ საბავშვო ბაღს ნორმალურ მუშაობაში. კარგად მუშაობს ბორჯომის № 1 საბავშვო ბაღი (გამგე ქ. კირტავა). საბავშვო ბაღში განსაკუთრებული სისუფთავე და წესრიგი იგრძნობა. სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა; აღმზრდელები ს. იობიშვილი, ვ. მახარაძე, თ. გელაშვილი მონდომებითა და პასუხისმგებლობით მუშაობენ ბავშვებთან, მუშაობა აგებულია „საბავშვო ბაღის აღმზრდელის სახელმძღვანელოს“ პროგრამულ-მეთოდურ მითითებებზე და სხვ.

მაგრამ ბორჯომის რაიონის ზოგიერთ საბავშვო ბაღში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ნორმალური მუშაობისათვის საჭირო პირობები. ახალდაბისა (გამგე ლ. ტალახაძე) და ბორჯომის № 2 (გამგე ლ. თევზაძე) საბავშვო ბაღებში ბინის ფართობი მთლიანად არაა გამოყენებული, ძილი არაა მოწყობილი, არ არის შექმნილი პედაგოგიური გარემო. ბავშვებში არაა გამომუშავებული კულტურულ-ჰიგიენური ჩვევები.

წალვერის საბავშვო ბაღში (გამგე მ. პატარქალაშვილი) აღმზრდელებად მეტად გამოუცდელი და მოუმზადებელი კადრი

მუშაობდა. ისინი არ იცნობდნენ სკოლამდელთა აღზრდის საქმის ელემენტარულ საკითხებს.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ბაკურიანის საბავშვო ბაღი (გამგე ე. გომარელი), სადაც ერთი ჯგუფია. ამ საბავშვო ბაღში რეჟიმი სრულიად დარღვეულია, დაწესებულება მუშაობას უნდა იწყებდეს 8 საათზე, სინამდვილეში კი ხშირად 1 საათით გვიან იწყებენ და აღსაზრდელების მოსვლა 11 საათამდე გრძელდება. ბავშვები უხალათოდ და მოუწესრიგებელი სახით არიან, არ აქვთ კულტურული ჭამისა და ქცევის ჩვევები. ამ საბავშვო ბაღში პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა სუსტადაა დაყენებული. საბავშვო ბაღის გამგეს ე. გომარელს არ აქვს სამუშაო გეგმები. ასევე არ აქვს ყოველკვირეული სამუშაო გეგმა აღმზრდელს ა. ჯეირანაშვილს. ჯგუფში ნაკლები რაოდენობით აქვთ სასწავლო ნივთები და ბავშვთა ნამუშევრები.

1,2,3, და 4 აპრილს ბავშვთა დასწრების აღრიცხვა ჯგუფის ჟურნალში არ წარმოებდა, ხოლო ფაქტურა ამ რიცხვებში გამოწერილი იყო 25 ბავშვზე. აღრიცხვის ჟურნალში ხშირადაა ამოშლილი და გადაკეთებული ბავშვთა დასწრების რიცხვი. იყო შემთხვევები, როდესაც ბავშვი ავად აყო და არ ესწრებოდა, ჟურნალში კი ეს არაა სათანადოდ აღნიშნული და ამის გამო ფაქტურაში შეტანილი ბავშვთა რაოდენობა არასწორია. შემოწმების დღეს ფაქტურა გამოწერილი არ იყო, ხოლო მზარეულს მიღებული პროდუქტებიდან არ აღმოჩნდა 750 გრ. კარაქი. ე. გომარელს მეტად მოუწესრიგებელი ჰქონდა პროდუქტების საწყობი და მისი აღრიცხვიანობა.

ბორჯომის რაიონში თუმცა შექმნილია მეთოდგაერთიანება, მაგრამ ის ძლიერ ცუდად მუშაობს. არ ეწყობა ღია მეცადინეობები, არ ხდება სხვადასხვა მეთოდური საკითხების დამუშავება და მოსმენა და სხვ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საბავშვო ბაღის მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობის, პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩაშლისა და ბავშვთა კვების საქმეში არსებული წესის დარღვევისათვის განთავისუფლებულ იქნას სამუშაოდან ბაკურიანის საბავშვო ბაღის გამგე ე. გომარელი.

2. დაევალოს ბორჯომის რაიონის განათლების განყოფილებას პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით

პერიოდულად შეამოწმოს საბავშვო ბაღები და უზრუნველყოს სისტემატური კონტროლი მეთოდგაერთიანების მუშაობაზე. აღნიშნული ბრძანება განიხილოს რაიონის მეთოდგაერთიანებაში.

3. ბორჯომის რაიონის საბავშვო ბაღების გამგეებმა მკვეთრად გააუმჯობესონ მუშაობა, წესრიგში მოიყვანონ საბავშვო ბაღის გარემო, აღმზრდელთა გამოცდილების ურთიერთ გაზიარების მიზნით ხშირად მოაწყონ ღია მეცადინეობები.

4. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ჩინჩალაძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 6 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 533

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 3 მაისი

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

ზემდგომ ორგანოებში სკოლა-ინტერნატების მუშაობის საკითხის განხილვისას აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ გატარებული მთელი რიგი ღონისძიებების მიუხედავად, რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია.

რესპუბლიკის ვერცერთი სკოლა-ინტერნატი ვერ აკმაყოფილებს ახალი ტიპის სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების მოთხოვნილებებს.

სკოლა-ინტერნატების შენობები ვერ უზრუნველყოფენ მუშაობის ნორმალურ პირობებს. არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია გათბობის სისტემა, ინტერნატებს აკლია რბილი და მაგარი ინვენტარი; მოუგვარებელია აბანოებისა და სამრეცხაოების მუშაობა. განსაკუთრებით მოუთმენელი მდგომარეობაა კოჯრის სკოლა-ინტერნატში, სადაც ბავშვები მოთავსებული არიან ზამთრის პირობებისათვის სრულიად შეუფერებელ კორპუსებში, რის გამო 60 ბავშვს მოეყინა ხელი და ფეხი. ინტერნატი არ არის უზრუნველყოფილი წყლით, ეზო შემოუღობავი და ანტისანიტარულ მდგომარეობაშია.

ბეთანიისა და გორდის სკოლა-ინტერნატების მისასვლელი გზები კეთილმოუწყობელია.

სკოლა-ინტერნატებში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი აღსაზრდელთა პოლიტექნიკური სწავლების სათანადო დონეზე დაყენე-

ბისათვის აუცილებელი პირობები; განთიადისა და გორდის სკოლა-ინტერნატებს არა აქვთ სახელოსნოები. სკოლა-ინტერნატები, გარდა გორდისა, არ არიან უზრუნველყოფილი საჭირო მიწის ნაკვეთით, არცერთ სკოლა-ინტერნატში არ არის კლასგარეშე მეცადინეობისა და ბავშვთა დასვენებისათვის საჭირო ოთახები.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურეობა. თითქმის ყველა სკოლა-ინტერნატში უხეშად ირღვევა სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის წესები. ბევრია კანის დაავადების შემთხვევები.

შეფერხებას აქვს ადგილი ცალკეული სკოლა-ინტერნატების კვების პროდუქტებით მომარაგებაში. 1 სექტემბრიდან მიმდინარე წლის 15 თებერვლამდე გორდის სკოლა ინტერნატს დააკლდა 4 ტონა კართოფილი და ორი ტონა ბოსტნეული, ხოლო რძის მაგივრად რძის ფხვნილს ღებულობდნენ.

სკოლა-ინტერნატებში ერთფეროვანი კვებაა, არ მზადდება გემრიელი საჭმელები, დაცული არაა კალორიულობა. არ არის დამუშავებული ბავშვთა კვების მენიუ. მენიუს ადგენენ ფორმალურად და თანაც არაუმეტეს ერთ დღეზე. არის კვების ნორმების დარღვევის შემთხვევები.

მოუგვარებელია აღსაზრდელთა მომარაგება ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით. სკოლა-ინტერნატები მეტად ცუდი ხარისხის ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს ღებულობენ, რის გამოც ირღვევა მათი ტარების დადგენილი ვადები.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მუშაობა ბავშვთა კოლექტივის ორგანიზაციისათვის; ცუდად არის დაყენებული ბავშვთა თვითმომსახურება და შრომითი აღზრდა. სათანადო ყურადღება არ ექცევა ბავშვთა ფიზიკურ და ესთეტიკურ აღზრდას; მეტად იშვიათად ტარდება ფიზკულტურულ-სპორტული თამაშობანი, თვითშემოქმედების საღამოები, ხელოვნების, მეცნიერების მუშაკებთან, წარმოების მოწინავე ადამიანებთან შეხვედრები, ლიტერატურული დილები, ლაშქრობები და სხვა მასობრივი ღონისძიებები.

ყველა ამისა და დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეების და უფროსი აღმზრდელების მხრივ სუსტი კონტროლისა და ხელმძღვანელობის შედეგად სკოლა-ინტერნატებში დაბალ დონეზე დგას ცალკეული დისციპლინების სწავლება და აღმზრდელობითი მუშაობა. განთიადის სკოლა-ინტერნატში ვერ ასწრებს მოსწავლეთა

36,3%, გორდში—24%. ბევრი აღმზრდელი სათანადოდ არ ეხმარება მოსწავლეებს საშინაო დავალებების შესრულებაში, არ უნერგავს მათ პირადი ჰიგიენისა და კულტურული ქცევის ჩვევებს, სათანადო მზრუნველობითა და ყურადღებით არ ეპყრობა აღსაზრდელებს. კოჯრის სკოლა-ინტერნატში ჯერ კიდევ არის აღსაზრდელთა გაქცევის შემთხვევები; ამ სასწავლო წლის განმავლობაში კოჯრის სკოლა-ინტერნატიდან მშობლებმა წაიყვანეს 112 აღსაზრდელი. ბავშვების ხშირ მოძრაობას ადგილი აქვს აგრეთვე თეთრიწყაროსა და სხვა სკოლა-ინტერნატებში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველო, კადრების, მომარაგებისა და დამხმარე წარმოებების, კაპიტალური მშენებლობის განყოფილებები საკმაო ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევენ სკოლა-ინტერნატებს, სათანადო ყურადღება არ დაეთმო ადმინისტრაციულ-პედაგოგიური კადრების შერჩევასა და დანიშვნას, რასაც შედეგად მოჰყვა უხეში დარღვევები კოჯრისა და ბეთანიის სკოლა-ინტერნატების სამეურნეო-ფინანსურ და სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში.

სათანადო ზომები არ არის მიღებული 1957-1958 სასწავლო წლისათვის სკოლა-ინტერნატების ქსელის გაფართოების გეგმის შესასრულებლად.

აქედან გამომდინარე, ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესასრულებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ, აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ, ქ. თბილისის, წულუკიძისა და თეთრიწყაროს რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ სკოლა-ინტერნატების მუშაობისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, განამტკიცონ დისციპლინა თანამშრომელთა შორის, მიაღწიონ დირექტორებისა და მთელი პედაგოგიური პერსონალის პასუხისმგებლობის ამაღლებას სკოლა-ინტერნატის დებულების შესაბამისად სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად ორგანიზების საქმეში; ძირშივე აღკვეთონ თანამშრომელთა მხრივ საკუთარი მოვალეობის შესრულებისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების გამოვლინებანი;

სკოლა-ინტერნატებში მთელი სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა წარმართონ მოსწავლეთა ზოგადი და პოლიტექნიკური განათლებისაკენ, მაღალი მორალური თვისებების აღზრდისაკენ, აღსაზრდელთა ფიზიკური და ესთეტიკური განვითარებისაკენ და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში პრაქტიკული მოღვაწეობისათვის მათი მომზადებისაკენ;

ბ) დაეხმარონ სკოლა-ინტერნატებს შინაგანაწესის წესების პრაქტიკულად განხორციელებაში, ისეთი დღის რეჟიმის ორგანიზაციაში, რომელიც ნამდვილად უზრუნველყოფს აღსაზრდელთა სწავლის, შრომისა და დასვენების სწორად შეხამებას;

გ) საწარმოო პრაქტიკის ჩასატარებლად, ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით შეიმუშაონ წინადადებანი სკოლა-ინტერნატების გარკვეულ საწარმოებზე, საბჭოთა მეურნეობებზე, მტს-ებსა და კოლმეურნეობებზე მიმაგრების შესახებ და ორი კვირის ვადაში მოამზადონ საჭირო პროექტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად;

დ) კომკავშირის ორგანოებთან ერთად გაატარონ აუცილებელი ღონისძიებანი სკოლა-ინტერნატებში კომკავშირული და პიონერული მუშაობის გასაუმჯობესებლად, მოსწავლეთა მტკიცე კოლექტივის შესაქმნელად და მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის სხვადასხვა ფორმების ფართოდ გასაშლელად.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ:

ა) 1957—1958 სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა-ინტერნატების ნაკლებად გამოცდილი მუშაკები, რომლებიც თავს ვერართმევენ სამუშაოს, შესცვალოს უფრო გამოცდილი მუშაკებით, უმთავრესად ქალებით;

ბ) სკოლა-ინტერნატების მასწავლებელთა და აღმზრდელთა მომზადების დონის ამაღლების მიზნით 1957—1958 სასწავლო წლის დასაწყისამდე მოაწყოს მათი გადამზადება, როგორც წარმოებიდან მოწყვეტით ისე წარმოებიდან მოუწყვეტლივ;

გ) საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად მიმდინარე წლის 15 მაისამდე უზრუნველყოს სკოლა-ინტერნატები გამოცდილი სამედიცინო მუშაკებით.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე უზრუნველყოს სკოლა-ინტერნატები აუცილებელი რბილი და მაგარი ინვენტარით, აგრეთვე მაღალი ხარისხის ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით;

ბ) ა/წლის 15 აგვისტომდე უზრუნველყოს სკოლა-ინტერნატების სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოების მოწყობა-შევსება საჭირო დანადგარებით, ხელსაწყო-იარაღებით და მასალით;

გ) მოაწყოს თანამშრომელთა კვება სკოლა-ინტერნატებში მათ ხარჯზე. ამისათვის საჭირო კვების პროდუქტების გამოსაყოფად წარუდგინოს განაცხადი საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს;

დ) ერთი კვირის ვადაში უზრუნველყოს ელფია — ბეთანიის დ/მეურნეობიდან კოჯრისა და ბეთანიის სკოლა-ინტერნატებზე გადაცემული მიწის ნაკვეთების ზემდგომ ორგანოებში გაფორმება.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ:

ა) მიმდინარე წლის 15 აგვისტომდე ჩაატაროს ყველა სკოლა-ინტერნატში აუცილებელი სარემონტო სამუშაოები. რაც უზრუნველყოფს ბავშვების სწავლებისა და აღზრდისათვის საჭირო ნორმალური პირობების შექმნას; მოაწყოს საშხაპო-სააბაზანო შენობები, ჰიგიენის ოთახები, ფიზკულტურული დარბაზი, მოედანი და სხვ. ჩაატაროს აგრეთვე სკოლა-ინტერნატების ტერიტორიის კეთილმოწყობისა და შემოღობვის აუცილებელი სამუშაოები;

ბ) დააწესოს კონტროლი საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მიერ 1957 წლის გეგმით გათვალისწინებულ სკოლა-ინტერნატების სასწავლო კორპუსების მშენებლობის დროულ შესრულებასა, საამშენებლო სამუშაოთა ხარისხსა და შენობების საამისოდ დადგენილ ვადებში საექსპლოატაციოდ გადაცემაზე.

5. მუშაობისათვის ნორმალური პირობების შექმნის მიზნით განიტვირთოს კოჯრის სკოლა-ინტერნატი და დაყვანილ იქნას მისი კონტინგენტი 300 აღსაზრდელამდე.

6. ამხ. ამხ. ბ. კიზირიამ, გ. საყვარელიძემ, ვ. ჩინჩალაძემ სასწრაფოდ მოამზადონ წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად 1957 წელს ახალი სკოლა-ინტერნატების გასახსნელად შესაფერი შენობების გამოყოფის შესახებ.

7. აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ, ქ. თბილისის, თეთრიწყაროსა და წულუკიძის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა დებულების ზუსტ შესაბამისობაში [illegible] ახალი, 1957—1958 სასწავლო წლისათვის სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა მიღება და უზრუნველყონ სათანადო კლასების დაკომპლექტება.

8. სკოლების სამმართველომ (გ. საყვარელიძე) მტკიცე კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე და შედეგების შესახებ მოახსენოს კოლეგიას ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **ზ. ჯიბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლების შტატებისა და მუშაკთა ხელფასის განაკვეთების შესახებ

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო გაცნობებთ, რომ სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებისათვის 1957 წელში დამტკიცებულია შემდეგი საშტატო ერთეულები

| | 1 იანვრისათვის | | 1 ნოემბრისათვის | |
|---|---|---|---|---|
| | საშტატო ერთეულები | ხელფასის განაკვეთი | საშტატო ერთეულ. | ხელფასის განაკვეთი |
| 1. დირექტორი | | | | |
| 2. სასწავლო ნაწილის გამგე | | | | |
| 3. სამეურნეო ნაწილის გამგე | | | | |
| 4. მოანგარიშე—საქმისმწარმოებელი | | | | |
| 5. საბიბლიოთეკო მუშაობისათვის | | | | |
| 6. დამლაგებელი-მეგარდერობე | | | | |
| ს უ ლ | | | | |

გაცნობებთ, რომ სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორებსა და სასწავლო ნაწილის გამგეებს ხელფასი აუნაზღაურდებათ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 11 აგვისტოს № 875 დადგენილების საფუძველზე მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად, 1 იანვრიდან;

ბ) იმ სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებში, სადაც კლას-კომპლექტთა რაოდენობა 3 და ნაკლებია, ერთ-ერთ მასწავლებელს გამგეობისათვის ხელფასი აუნაზღაურდება თითოეულ კლასზე 100 მანეთის ოდენობით;

გ) დირექტორებს ხელფასი ეძლევათ მთელი კალენდარული წლის განმავლობაში იმ პირობით, თუ არდადეგების პერიოდში, რომელიც არ ემთხვევა მათ შვებულებას, ისინი დატვირთულნი იქნებიან სხვა რაიმე შესაფერი სამუშაოთი განათლების განყოფილების მიერ;

დ) დანარჩენ მუშაკთა ანაზღაურება (სასწავლო ნაწილის გამგე, სამეურნეო ნაწილის გამგე, მოანგარიშე—საქმისმწარმოებელი, დამლაგებელი-მეგარდერობე) მოხდება ფაქტიურად ნამუშევარი დროის შესაბამისად;

ე) საბიბლიოთეკო მუშაობისათვის გათვალისწინებული ხელფასი 75 მანეთის ოდენობით თვეში მიეცემათ დამატებით იმ ზოგადსაგან-

მანათლებლო შვიდწლიანი და საშუალო სკოლების ბიბლიოთეკარებს, რომელნიც გაუწევენ სათანადო მომსახურებას სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლებს ხელფასი აუნაზღაურდებათ სასწავლო წლის განმავლობაში (6 თვე) და აგრეთვე ერთი კვირის მეცადინეობის დაწყებამდე და ერთი კვირის მეცადინეობის დამთავრების შემდეგ;

ზ) მეშვიდე და მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებს ეძლევათ დამატებითი შვებულებები საგამოცდო პერიოდის განმავლობაში სამუშაო ადგილზე ხელფასის შენარჩუნებით შემდეგი ოდენობით:

მე-7 კლასის მოსწავლეებს 15 სამუშაო დღე, მე-11 კლასის მოსწავლეებს 20 სამუშაო დღე.

გაცნობებთ, რა ამის შესახებ გავალებთ გაატაროთ რეგისტრაციაში საშტატო ერთეულები და ხელფასის განაკვეთები.

საქართველოს სსრ ფინანსთა
მინისტრის მოადგილე
მ. ტრაპაიძე

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
მ. ბურჭულაძე

## О ШТАТАХ И ОКЛАДАХ РАБОТНИКОВ СРЕДНИХ ШКОЛ СЕЛЬСКОЙ МОЛОДЕЖИ

**Министерство финансов Грузинской ССР и Министерство просвещения Грузинской ССР сообщает, что для школ сельской молодежи утверждены на 1957 год следующие штатные единицы:**

| | На 1 января | | На 1 ноября | |
|---|---|---|---|---|
| | Число штатн. единиц | Ставка заработн. платы | Число шт. един. | Ставка заработн. платы |
| 1. Директор | | | | |
| 2. Заведующий учебной частью | | | | |
| 3. Заведующий хозяйственной частью | | | | |
| 4. Делопроизводитель-счетовод | | | | |
| 5. За ведение библиотечной работы | | | | |
| 6. Уборщицы-гардеробщики | | | | |

Сообщаем, что: а) должностные оклады директорам и заведующим учебной частью средней школы сельской молодежи определяются в соответствии с постановлением Совета Министров СССР и ЦК ВКП (б) от 11 августа 1943 года № 875 в зависимости от числа учащихся на 1 января 1957 года;

б) в средних школах сельской молодежи с числом до 3-х классов-комплектов включительно одному из учителей за заведывание школы выплачивается 100 рублей в месяц за каждый класскомплект и устанавливается одна должность уборщицы;

в) директору средней школы сельской молодежи заработная плата выплачивается в течение всего календарного года при условии дополнительной загрузки его каникулярное время несовпадающее с его очередным отпуском, работой по усмотрению районного отдела просвещения;

г) остальным работникам (заведующему учебной частью, завхозу, делопроизводителю-счетоводу, уборщицам — гардеробщицам) выплачивается за фактически проработанное время;

д) предусмотренная за библиотечную работу заработная плата в размере 75 рублей в месяц выплачивается дополни-

тельно библиотекарю той общеобразовательной семилетней и средней школы, которая обслуживает среднюю школу сельской молодежи;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

е) учителям средних школ сельской молодежи выплачивается заработная плата в течение учебного года (6 месяцев), а также за одну неделю до начала учебного года и за одну неделю после окончания учебного года;

ж) учащимся VII и XI классов школ сельской молодежи на период выпускных экзаменов представляются следующие дополнительные отпуска с сохранением заработной платы по месту работы:

учащимся 7-х классов 15 рабочих дней.

учащимся 11-х классов—20 рабочих дней.

Сообщая о вышеизложенном, предлагается провести соответствующую регистрацию и фонда зарплаты в местном финоргане.

| | |
|---|---|
| Зам. Министра финансов<br>Грузинской ССР | Зам. Министра просвещения<br>Грузинской ССР |
| **ТРАПАИДЗЕ В.** | **БУРЧУЛАДЗЕ М.** |

უფასო

ეროვნული ბიბლიოთეკა